UDC 796
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-131-139

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკა საქართველოში

მაგდანა ბზიკაძე საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: magdanabzikadze@gmail.com

ბესიკ შერაზადიშვილი საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: b.sherazadishvili@gtu.ge

რეცენზენტები:

გ. იაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: g.iashvili@gtu.ge

ა. სიჭინავა, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
E-mail: alekosichi@mail.ru

ანოტაცია. სპორტული ობიექტების განვითარებაში სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი აკისრია, რომელსაც ახორციელებს პოლიტიკის შემუშავების, დაფინანსების უზრუნველყოფისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის გზით. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობაში ფიზიკური აქტივობის დონის ზრდაზე, მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. განხილულია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური განზომილებები საქართველოში, გაანალიზებულია არსებული პოლიტიკის ნაკლოვანება და საზღვარგარეთის ქვეყნების კარგი გამოცდილება. სტატიის მიზანია, საჯარო ხელისუფლებას და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ხელი შეუწყოს და დაეხმაროს, გაიუმჯობესონ სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების არსებული პოლიტიკა, რაც გააუმჯობესებს ამ მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვას, კერძო ინვესტიციების მოზიდვას და გაზრდის საზოგადოების ხელმისაწვდომობას სპორტულ ობიექტებზე.

საკვანძო სიტყვები: ეფექტიანი დაგეგმვა და მართვა; რეგულაციები; საჯარო და კერძო თანამშრომლობა; საჯარო ფინანსური რესურსი; სპორტული ინფრასტრუქტურა; ჩართულობის ზრდა; ხელმისაწვდომობა.

შესავალი

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება რთული ამოცანაა, რომელიც მრავალ გამოწვევასთანაა დაკავშირებული და სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ამ მიმართულებით საბიუჯეტო ასიგნებები რამდენიმე წყაროდან გამოიყოფა:

- სახელმწიფო ბიუჯეტი (კაპიტალური ხარჯები და ტრანსფერები);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი;
- კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ასიგნებები;
- სსიპ ,,მუნიციპალური განვითარების ფონდი“ (ძირითადად მოზიდული ფინანსების ფარგლებში);
- მუნიციპალური საბიუჯეტო ასიგნებები.

აღნიშნული წყაროებიდან ბოლო 10 წლის განმავლობაში სპორტული ობიექტების მშენებლობა/რეაბილიტაციაზე რამდენიმე ასეული მილიონი ლარი დაიხარჯა. კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემებით, საჯარო სპორტული ობიექტების განვითარებისთვის სახელმწიფომ 364,910,222 ლარზე მეტი დახარჯა. ამ თანხის მოცულობას ემატება ქვეყნის მასშტაბით ღია ტიპის სპორტული მოედნებისა და სატრენაჟორო სივრცეების მოსაწყობად სხვადასხვა საჯარო უწყების მიერ გაწეული ხარჯი, რომელიც ბოლო 10 წლის მონაცემებით დაახლოებით 20–30 მლნ ლარს შეადგენს.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში საჯარო სპორტული ობიექტების უმრავლესობა სახელმწიფოს (სამინისტრო, მუნიციპალიტეტი) ბალანსზეა. გარკვეულ ინფრასტრუქტურას სახელმწიფო აშენების შემდეგ სპორტულ ორგანიზაციებს (ფედერაცია, ასოციაცია, კავშირი, კლუბი) გადასცემს. სახელმწიფო იშვიათად მიმართავს კერძო პირისთვის ობიექტის სამართავად გადაცემის პრაქტიკას.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება მოქმედი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“[1] ითვალისწინებს საჯარო და კერძო სექტორების ეფექტიან თანამშრომლობაზე დაფუძნებული სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის ქმედითი მოდელის შექმნას, აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის აშენებას.

2022–2025 წლებში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომლის ფარგლებში დაგეგმილია „საერთა-

[1] იხილეთ: 68_78941_292978_govprogramme.pdf (გვ. 45-46).

შორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული მოედნების, დარბაზებისა და სპორტის სასახლეების, აგრეთვე მასობრივი სპორტული ობიექტების (გარე სავარჯიშო ტრენაჟორები, მინიმოედნები, სარბენი ბილიკები, ველობილიკები და სხვა) მშენებლობა“[2]. 4-წლიან პერიოდში სამინისტროს გათვალისწინებული აქვს 219,640,000 ლარის (ყოველწლიურად 54,910,000 ლარი) დახარჯვა. აღსანიშნავია, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გამოყოფილი ასიგნებების ზუსტი რაოდენობა არ არის განსაზღვრული, თუმცა სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტროს წინა წლების ბიუჯეტების შესაბამისი პროგრამის ხარჯვის პარამეტრების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2022–2025 წლებში 219,640,000 ლარის 65–75% (143–165 მლნ. ლარი) სპორტულ ინფრასტრუქტურას მოხმარდება. მოპოვებული მონაცემებით, 2022–2025 წლებში რეგიონებში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-მშენებლობისა და რეაბილიტაციის ჯამური საპროგნოზო ღირებულება 432,674,586 ლარია.

2025 წლამდე ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია 50 ახალი ობიექტის მშენებლობა და 27 არსებული ობიექტის რეაბილიტაცია. ყველაზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი (მშენებლობა/რეაბილიტაცია) განხორციელდება კახეთში (17), ქვემო ქართლში (16), თბილისსა (13) და აჭარაში (9), ხოლო ყველაზე ნაკლები (თითო კაპიტალური პროექტი) – შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში (იხილეთ გრაფიკი 1). დაგეგმილ კაპიტალურ პროექტთაგან 16-ის ღირებულება 5,000,000 ლარს აღემატება.



2022–2025 წლებისთვის დაგეგმილი სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა და საპროგნოზო ჯამური ღირებულება (ლარში) რეგიონების მიხედვით

[2] საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებები 2022-2025 წლებისათვის. https://bit.ly/3IzqB1r;

წყარო: საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ადგილობრივი ხელისუფლების (მერიები) მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

საქართველოს მთავრობას არ გააჩნია დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პრინციპებს, მიდგომებსა და გეგმას. გამოწვევა ქვეყანაში არსებული სპორტული ობიექტების (ინფრასტრუქტურის) აღრიცხვიანობის სისტემის გაუმართაობაა და შესაბამისი მონაცემების ხელმისაწვდომობის პრობლემა.

საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება არ ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ სტრატეგიას ან გეგმას. დამკვიდრებული პრაქტიკით, სპორტული ობიექტების მშენებლობასა და რეაბილიტაციას სპორადული ხასიათი აქვს. ხშირ შემთხვევაში, ახალი ობიექტის მოწყობა-მშენებლობის ან არსებული ობიექტის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება, უმასპინძლოს საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებას ან ცალკეული პირების სუბიექტური გადაწყვეტილებები. კვლევის ფარგლებში მოპოვებული მონაცემებით, პასუხისმგებელი საჯარო უწყების გადაწყვეტილება არ ეფუძნება საჭიროების ან/და ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას (ე. წ. „feasibility study“), აგრეთვე სარგებლიანობის ღრმა ანალიზს.

საერთაშორისო გამოცდილებით დადგინდა, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო არაერთგვაროვანია საზღვარგარეთის ქვეყნებში. სპორტული ობიექტების მშენებლობის დაგეგმვის, დაპროექტებისა და მოვლა-პატრონობის საკითხები წესრიგდება სპორტისა და მშენებლობის შესახებ კანონებით, დარგობრივი მინისტრების ბრძანებებით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით. სპორტული ობიექტების მშენებლობის ორგანიზებისა და დაფინანსებისთვის პასუხისმგებელი ძირითადი უწყებებია სპორტზე პასუხისმგებელი სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. დაფინანსება შესაძლებელია გამოიყოს ერთი ან რამდენიმე წყაროდან, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან, აზარტული ან სხვა მომგებიანი თამაშების გადასახადებიდან შემოსული თანხებიდან ან კერძო სპონსორებისგან. სპორტული ინფრასტრუქტურისთვის საჭირო ფინანსები განისაზღვრება სტრატეგიული გეგმების, წლიური სახელმწიფო სპორტული ან/და მუნიციპალიტეტების პროგრამების გათვალისწინებით (პარლამენტის კვლევითი ცენტრი, 2021).

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის განზოგადებით შეიძლება გამოიყოს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების რამდენიმე მიდგომა (ზოგ შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე მიდგომა გამოიყენება), რომლებიც ახასიათებს პოლიტიკას, კერძოდ: სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორც უფრო ფართო სტრატეგიის – სპორტის ან/და მოსახლეობის ფიზიკური აქტივობის სტრატეგიის განუყოფელი კომპონენტი/მიმართულება. სტრატეგიის ერთ-ერთ თავში მიმოხილულია ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი ხედვა, სახელმძღვანელო პრინციპები, მიდგომები და საჭიროებები. სპორტზე პასუხისმგებელი ეროვნული უწყება, სხვა დარგობრივ სამინისტ-

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

როებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სტრატეგიის, მათ შორის სპორტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული დებულებების განხორციელების კოორდინაციას (მაგ., დიდი ბრიტანეთი და ლიეტუვა).

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული, რეგიონული ან მუნიციპალური სტრატეგია. ასეთი ტიპის დოკუმენტში ყალიბდება კონკრეტული მიზნები და ამოცანები, ქვეყნის, რეგიონის ან მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული ობიექტების განვითარებასთან დაკავშირებით. სტრატეგია მკაფიოდ განსაზღვრავს ხედვას, პრინციპებსა და მიდგომებს, რომელთა გათვალისწინებითაც ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს. სტრატეგიაში მიმოხილულია იმ სპორტული ობიექტების კატეგორიები/ტიპები და რაოდენობა, რომლებიც უნდა აშენდეს. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია მშენებლობისა და მართვის დაფინანსების ასპექტებზედაც. პოლიტიკის ამ მიდგომას იყენებენ ავსტრალიის კავშირის შტატები, ინგლისის რეგიონები და სხვა.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების/მშენებლობის სახელმძღვანელო (ე. წ. „გაიდლაინები“) ან სტანდარტები. ზოგიერთ სახელმწიფოში მოქმედებს სპორტული ობიექტების განვითარების სახელმძღვანელო – ინსტრუქცია, რისი შესრულება სარეკომენდაციოა ან სავალდებულო საჯარო უწყებებისთვის, რომლებიც გეგმავენ სპორტული ობიექტების მშენებლობას ან შესაბამისი მომსახურების შესყიდვას. როგორც წესი, ასეთ სახელმძღვანელოში დეტალურადაა აღწერილი სპორტული ობიექტის დაგეგმვის, დაპროექტებისა და მშენებლობის, ობიექტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ეტაპი, მომზადებულია რეკომენდაციები /ინსტრუქციები, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილია ან სავალდებულო. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი ტიპის სახელმძღვანელო განსაზღვრავს კონკრეტული სპორტული ობიექტის (მაგ.: საცურაო აუზი, მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსი, ყინულის მოედანი და სხვა) მშენებლობის სტანდარტებს. სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს საჯარო მოხელეებს უზრუნველყონ ობიექტის განვითარების ყველა ეტაპზე საკვანძო პრინციპის/მიდგომების გათვალისწინება. ამ პრაქტიკას იყენებს გერმანია, ახალი ზელანდია, ავსტრალია (რეგიონული მთავრობები) და სხვა.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების გრანტები/ფონდები. ზოგიერთ ქვეყანაში ეროვნულ დონეზე ყალიბდება სპორტული ინფრასტრუქტურის დაფინანსების ერთიანი (საკოორდინაციო) მექანიზმი. ამ მექანიზმით ცენტრალური საჯარო ხელისუფლება ახდენს საჯარო ასიგნებების მობილიზებას და წინასწარ განსაზღვრული გეგმით უზრუნველყოფს ობიექტების მოწყობა-მშენებლობა-რეაბილიტაციას ან, ჩამოყალიბებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, გრანტებს გამოუყოფს მუნიციპალურ ხელისუფლებას.

2011 წელს ისრაელში შეიქმნა სპორტის ეროვნული საბჭო (წამყვანი ორგანიზაციები – კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო). სხვა ფუნქციებთან ერთად საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საჭიროების გათვალისწინებით, სპორტული შენობა-ნაგებობების მშენებლობის გრძელვადიანი (10–12-წლიანი) გეგმის მომზადება და განხორციელება. ცენტრალურ დონეზე სპორტული ობიექტების განვითარებისთვის გამოყოფილი ასიგ-

ნებები თავს იყრის კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტში და სპორტის ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით გამოიყენება. 2016 წელს საბჭომ დაამტკიცა „2027 წლამდე შენობა-ნაგებობების განვითარების გეგმა“, რომელიც მოიცავს სპორტული ობიექტების განვითარების დაფინანსების კონკრეტულ კრიტერიუმებსა და პრიორიტეტებს (მაგ.: დემოგრაფია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და სხვა). 2027 წლამდე განსახორციელებელი პროექტების ჯამური ღირებულება დაახლოებით 9 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს (პარლამენტის კვლევითი ცენტრი, 2021).

ფინეთში სპორტზე პასუხისმგებელი საჯარო უწყება (განათლებისა და კულტურის სამინისტრო) ყოველწლიურად გამოყოფს სპორტული ობიექტებისა და რეკრეაციული ზონების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო გრანტებს. გრანტების ძირითადი მიმღები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებია. გრანტები უმეტესად გამოიყენება საცურაო აუზების, მულტიფუნქციური დარბაზებისა და ყინულის მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის. ნიშანდობლივია, რომ გრანტების ფარგლებში ფინანსდება ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საჭირო კვლევა. სამინისტრო უფლებამოსილია დაფინანსოს მხოლოდ ისეთი ობიექტები, რომელთა ჯამური ღირებულება 700,000 ევროს აღემატება. ამ ნიშნულზე უფრო ნაკლები ღირებულების პროექტების დაფინანსებას უზრუნველყოფს რეგიონული სახელმწიფო ადმინისტრაციული სააგენტოები (პარლამენტის კვლევითი ცენტრი, 2021).

დასკვნა

გამოყენებული მასალის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება არ ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ სტრატეგიას ან გეგმას, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პრინციპებსა და მიდგომებს. ქვეყნის მასშტაბით სპორტული ობიექტების მშენებლობასა და რეაბილიტაციას სპორადული ხასიათი აქვს. გამოწვევაა საჯარო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინაციის პრაქტიკის სისუსტე. დამკვიდრებული პრაქტიკით, სპორტული ობიექტის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება არ ეფუძნება არსებული საჭიროებისა და პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების შედეგებს. საჯარო უწყება, დაგეგმილ კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებით, არ მიმართავს ღრმა კვლევის/შეფასების პრაქტიკას.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული დარგობრივი სამართლებრივი ბაზა სპორტული ობიექტებისთვის არ ადგენს კონკრეტულ მოთხოვნებსა და ნორმებს და არ ახდენს მათ კატეგორიზაციას. სპორტზე პასუხისმგებელ სამინისტროს არ გააჩნია ქვეყანაში არსებული საჯარო სპორტული ობიექტების აღრიცხვიანობის გამართული სისტემა. მიუწვდომელია ინფორმაცია მოქმედი სპორტული ობიექტების საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით სპორტის სფეროს სამართლებრივი ბაზა შესაბამისი საჯარო დაწესებულებებისთვის არ ადგენს კონკრეტულ მოთ-

ხოვნებსა და ვალდებულებებს. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება არ იყენებს საჯარო და კერძო თანამშრომლობის პრაქტიკას. საქართველოში არ გვხვდება მაგალითი, როდესაც სპორტზე პასუხისმგებელმა საჯარო დაწესებულებამ მიზანმიმართულად შექმნა კერძო სექტორის ხელშემწყობი პირობები სპორტული ობიექტის დაპროექტება/მშენებლობაში ინვესტიციის განხორციელებისთვის ან აშენებული ობიექტის მართვის უფლების მოპოვებისთვის (საჯარო ინტერესის რეალიზებისთვის).

მოქმედი სპორტული ობიექტების დაახლოებით 70% არ აკმაყოფილებს სპორტის შესაბამისი სახეობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ საერთაშორისო ღონისძიებების გამართვისთვის დადგენილ სათანადო სტანდარტებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალი სპორტული ობიექტი დაბალი ხარისხის კონსტრუქციითა და მასალითაა აშენებული. ხშირ შემთხვევაში, სპორტული ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაში არ მონაწილეობენ სპორტული ფედერაციებისა (ასოციაცია, კავშირი, კომიტეტი და სხვა) და შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციათა წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები.

ზემოგანხილულის გათვალისწინებით, საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლებამ – მიიღოს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული ინფრასტრუქტურის ტიპოლოგიის შემუშავებას და სავალდებულოს გახდის მშენებლობის დაწყებამდე საჭიროებებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ჩატარებას, ამასთან სპორტული ობიექტის მშენებლობა/რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, აგრეთვე საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში დაინტერესებული პირების, მათ შორის შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების, ეროვნული სპორტული ფედერაციებისა (კავშირი, კომიტეტი და სხვა) და დარგის სპეციალისტების (მათ შორის საერთაშორისო სპეციალისტების) სრულფასოვან მონაწილეობას;

– უზრუნველყოს სპორტის განვითარების გრძელ- ან საშუალოვადიანი სექტორული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტების მომზადება და დამტკიცება;

– განსაზღვროს და დაამტკიცოს საჯარო სპორტული ობიექტების ტიპოლოგია ან/და მოდელები. შეიმუშაოს და დაამტკიცოს ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე საჯარო სპორტული ობიექტების მშენებლობა/განვითარების პროცესში სავალდებულო გახდება ტიპოლოგიის გათვალისწინება;

– უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით მოქმედი საჯარო სპორტული ობიექტების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის ელექტრონული სისტემის გამართული მუშაობა, ასევე შესაბამისი მონაცემების ყოველწლიურად განახლება და გამოქვეყნება. მნიშვნელოვანია, სისტემამ უზრუნველყოს ისეთი ინფორმაციის გენერირება, როგორიცაა ობიექტის ფუნქციური და ტექნიკური მახასიათებლები, ხელმისაწვდომი სერვისები, მათი მისაწვდომობა შშმ პირთათვის, მომსახურების ფასები, ბენეფიციართა ასაკობრივი კატეგორია.

ლიტერატურა

1. Government of Georgia. (2021). *Government program 2021-2024 – for the construction of the European state.;*
2. Government of Georgia. (2016). *Resolution No. – 191 On the Approval of the Investment Project Management Guide.*;
3. Government of Georgia. (2020). *Resolution No.732 – On approval of the technical regulation - National accessibility standards.*;
4. Government of Georgia. (n.d). *The main directions of the ministries of Georgia for the years 2022-2025, infrastructure development.*;
5. Lidera Sport Consulting-Georgia. (2019). *The project of the 2020-2030 strategy and implementation action plan for the development and management of Georgian sports infrastructure.*;
6. *Guide on Public-Private Cooperation in Georgia.* (2019).;
7. State Audit Service. (2020). *2015-2018 effectiveness audit of sports infrastructure management.*;
8. Research Center of the Parliament of Georgia. (2021). *Legal regulations for the construction of sports facilities.*;
9. *Basic country data and directions for 2022-2025.* (2021).;
10. Arnout Geeraert (ed.). (2018). *National Sports Governance Observer, Final Report.*;
11. Bailey, R., Armour, K., Kirk, D., Jess, M., Pickup, I., Sandford, R. (2009). The Educational Benefits Claimed for Physical Education and School Sport: An academic review. *Research papers in Education, 24*(1).;
12. Parliament of Lithuania. (n.d). *National Sport Development Strategy for 2011–2020.*

UDC 796
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-131-139

Sports Infrastructure Development Policy in Georgia

Magdana Bzikadze Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: magdanabzikadze@gmail.com

Besik Sherazadishvili Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: b.sherazadishvili@gtu.ge

Reviewers:

G. Iashvili, Doctor of Technical Sciences, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: g.iashvili@gtu.ge

A. Sichinava, Academic Doctor of Economics, Professor, Faculty of Engineering Economics Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: alekosichi@mail.ru

Abstract. Development of sports facilities is states responsibility, which is performed through the policy development, financing and implementation of various infrastructure projects. The improvement of sports infrastructure has a direct impact on people's health and well-being as well as their increased level of physical activity.

The political, legal and economic aspects of sports infrastructure development in Georgia is discussed, the positive experience of foreign countries is evaluated and the shortcomings of the current policy is analyzed. The purpose of the article is to promote and help the public authorities and other interested parties to improve the existing policy for the construction and development of sports infrastructure. Doing so will increase public access to sports facilities, draw private investment, and ensure that budget funds allocated for this purpose are spent effectively.

Keywords: accessibility; effective planning and management; increasing participation; public financial resources; public and private partnership; regulations; sports infrastructure.

განხილვის თარიღი 28.02.2024
შემოსვლის თარიღი 29.02.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024